



საქართველო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე



(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1, ტელ. 27-45-25)

N 30
16/03/2018

30-06-4-201803161744



ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მორიგი სხდომის მოწვევის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის №1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტისა და მე-20 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მორიგი სხდომა ნაცვლად 2018 წლის 16 მარტისა მოწვეული იქნას მიმდინარე წლის 22 მარტს 16:00 საათზე (მის: ქ.ოზურგეთი, კოსტავას ქ.№1 ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზი).

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ი.სიორიძის ქ. №14).

3. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო